საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თორმეტი წლის ცამეტ თებერვალს, მე- ციური ბერიძეს, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68-ში, მომმართა ბატონმა ნიკოლოზ სალარაძემ, დაბ. 1968 წლის 05.06. პირადი №01026003768.

მან წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო / არაკომერციული/ იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს " ბიზნესი"-ს შესახებ და როგორც ამ საზოგადოების წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა განაცხადა, რომ სურს გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭოს ქალბატონ მაია ოდელაძეს და მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ნიკოლოზ სალარაძემ. მომმართა. მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

შემდეგ მე შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მას. მან განაცხადა რომ მინდობილობაში ასახული აზრი სრულიად შეესაბამება მის სურვილს. რის შემდეგ ხელი მოაწერა მინდობილობას ჩემი თანდასწრებით.

მინდობილობა

ორიათას თორმეტი წლის ცამეტ თებერვალს, მე- ნიკოლოზ სალარაძემ, დაბ. 1968 წლის 05.06. პირადი №01026003768. შპს " ბიზნესი"-ს / საიდენტიფიკაციო კოდით- 201943040/ წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა სრული უფლებამოსილება მიავანიჭე ქალბატონ მაია ოდელაძეს, დაბ. 1981 წლის 08.12. პირადი № 01030016819

1. იყოს წარმომადგენელი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, მერიაში, გამგეობაში, საჯარო რეესტრის, არქიტექტურულ, საკადასტრო და სხვა შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებში, ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპირო № 2-ში მდებარე უძრავი ქონების დემონტაჟთან დაკავშირებული იურიდიული დოკუმენტაციის გაფორმებისას.

2. მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, შეაგროვოს შესაბამისი დოკუმენტები, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის იურიდიული და ტექნიკური ფორმალობები, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან

3. რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს შენობა-ნაგებობის დემონტაჟთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებისა და ხელმოწერის უფლებით. ასევე უფლებამოსილია განახორციელოს დავალების შესრულებიდან გამომდინარე და კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და სხვა საჭიროებულო გადასახადები.

მინდობილობა შედგენილი და ხელმოწერილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლიარი ინახება სანოტარო ბიუროს საარქივო მასალებში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის მოქმედების ვადით.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. № 507 დადგენილების 31.7.-მუხლის საფუძველზე- 10 ლარი, მუხლი 39- ის საფუძველზე- 2 ლარი- ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ-1,80 ლარი, საგადასახადო კოდექსის 169 -ე მუხლის თანახმად. სულ 13,80 ლარი

--ნიკოლოზ სალარაძე--

ნოტარიუსი ციური ბერიძე

ციური ბერიძე TSIURI BERIDZE NOTARY PUBLIC * 01008012847 *

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

68523870674612

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120123228

რეგისტრაციის თარიღი

13.02.2012 წ

ნოტარიუსი: ციური ბერიძე
მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
ტელეფონი: 2-23-08-90.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18